Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №40 ბრძანებით, 2022 წლის 08 თებერვალს, ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. კერძოდ, ცვლილება შეეხო:

✓ აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას;

✓ მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას;

✓ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესს;

აღნიშნული დეკლარაციების განახლებული ელექტრონული ფორმები უკვე ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდზე.

ახალი ფორმით დეკლარაციების წარდგენა სავალდებულოა მიმდინარე წლის იანვრის საანგარიშო პერიოდიდან[1].

2. საქართველსო ფინანსთა მინისტრის №40 ბრძანებით, 2022 წლის 23 თებერვალს, დამტკიცდა „აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ თამაშობის მოწყობის ადგილზე შესულ პირთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის წესი“. ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან[2].

3. საქართველსო ფინანსთა მინისტრის №18 ბრძანებით, 2022 წლის 27 იანვარს, ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაც აღნიშნული ბრძანებით შეიცვალა არის ის რომ, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისთვის საშემოსავლო და მოგების გადასახადის დეკლარაციების წარუდგენლობა აღარ უთანაბრდება ნულოვანი დეკლარაციის წარდგენას (დღგ-ს დეკლარაციის შემთხვევაში ასეა 2020 წლიდან). ამავე ცვლილებით ასევე განისაზღვრა, რომ სამივე დეკლარაციის შემთხვევაში გამონაკლისად ჩაითვალა ის საანგარიშო პერიოდ(ებ)ი, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი[3].

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება

შემოსავლების სამსახურის უფროსის №3751 ბრძანებით 2022 წლის 16 თებერვალს დამტკიცდა ინსტრუქცია „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი

---

1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5378284?publication=0

2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5388941?publication=0

3 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5367625?publication=0

ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“. ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან. წარმოდგენილი ბრძანებით განხორციელდება დღგ-ის გადამხდელისთვის კვალიფიციური გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება/გაუქმების და ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის სპეციალური წესით სარგებლობის პრინციპების ცვლილება.

აღნიშნული ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდება:

- შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 29 დეკემბრის №41747 ბრძანება „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“;
- შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 5 აგვისტოს №25697 ბრძანება „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის შესახებ“[4];

ცვლილება სიტუაციურ სახელმძღვანელოებში

2022 წლის თებერვლის თვეში გაუქმდა შემდეგი სიტუაციური სახელმძღვნელოები:

0214 - ძირითადი საშუალების, მათ შორის მცირეფასიანი ძირითადი საშუალების ჩამოწერა (სასარგებლო ნარჩენი შემოსავალია);

0218 - იმპორტით შეძენილ საქონელზე ინვოისების არქონა;

0227 - პირგასამტეხლოს თანხების გამოქვითვა (იურიდიული პირისათვის გადაუხდელი პირგასამტეხლო მაინც ხარჯია);

0241 - იჯარის თანხის გამოქვითვა (საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უნდა იყოს ქონება და არა ხელშეკრულება იჯარაზე);

0260 - ლიზინგი (2007 წელს შემოსავალია დისკონტირებული ღირებულება);

1817 - სალაროს ფიქტიური ნაშთის სარგებლად განხილვა;

1819 - სალაროში არსებული უძრავი ნაშთის სარგებლად განხილვა;

2022 წლის თებერვლის თვეში დაემატა შემდეგი სიტუაციური სახელმძღვნელოები:

2664 - თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შეტანილი საქონლის რეალიზაცია.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში დაგეგმილი ცვლილება

საქართველოს პარლამენტს 2022 წლის 9 თებერვალს წარედგინა საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების განხორციელების შესახებ. ცვლილების მიხედვით დაგეგმილია მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილებების ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მხარეებისათვის ჩაბარების წესის ახლებურად რეგულირება.

იმისათვის, რომ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიერ მიღებული დადგენილების ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების შედეგად, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული აქტი კანონიერ ძალაში შევიდეს, აუცილებელია მისი ჩაბარება დაინტერესებული მხარისთვის, თუმცა ხშირ შემთხვევაში სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მისი ჩაბარება პრაქტიკულად მეტად გართულებულია, რაც საჯარო კონტროლის განხორციელებისას პრობლემურ საკითხს წარმოადგენს.

საკანონმდებლო ინიციატივა მიზნად ისახავს გამარტივდეს დადგენილების თაობაზე წარდენილ საჩივართან დაკავშირებით ზემდგომი

---

4 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5389341?publication=0

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ჩაბარება და დარეგულირდეს იმდაგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია მშენებლობის ზედამხედველობის ორგანოს მიერ გამოცემულ შემოწმების აქტთან, დადგენილებასთან და უწყების გაცნობასთან მიმართებაში. კერძოდ, ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საჩივართან დაკავშირებით ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამშენებლო სამართალდამრღვევ პირს გაეგზავნება ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე ფოსტის საშუალებით. იმ შემთხვევაში თუ საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდება (ადრესატის მისამართზე არ ყოფნის ან აქტის გაცნობაზე უარის თქმის გამო) გაცნობად ჩაითვლება აქტის სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

ცვლილებები ლატარიების, აზარტულ და მომგებიან თამაშობებთან დაკავშირებით

2022 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების შესახებ მარეგულირებელ კანონმდებლობაში 2021 წლის 22 დეკემბერს შესული ცვლილებები, რომელიც შეეხება აღნიშნული საქმიანობის რეკლამირებას, გადასახადით დაბეგვრის ობიექტს და გადასახადის განაკვეთს, თამაშობებზე დამოკიდებულ პირთა დაცვის ეფექტური მექანიზმების დაწესებას, აზარტული და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობისთვის ასაკობრივი ზღვარის გაზრდას და სხვა საკითხებს.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განისაზღვრა თამაშობაზე დამოკიდებულ პირთა დაცვის მექანიზმები, ასევე გაიზარდა ასაკობრივი ზღვარი საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც სათამაშოდ არ დაიშვებიან თუ არ მიუღწევიათ 25 წლის ასაკისთვის.

ასევე „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აიკრძალა აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის ან/და ტოტალიზატორის ორგანიზატორის შესახებ რეკლამის გავრცელება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

დაინტერესებულ პირებს შესაბამის ცვლილებებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ 2021 წლის დეკემბერში ჩვენს მიერ მომზადებულ საგადასახადო და სხვა საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვაში.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.